საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით-ბეგი

დავით-ბეგი, (გ. 1728), სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლი XVIII ს. I მესამედში. ვახტანგ VI-ის უფროსი ვაჟის – ბაქარის – პირადი გვარდიის ასისთავი.

დ.-ბ-ის წინაპრები საქართველოში XVII ს. II ნახ-ში უნდა გადმოსახლებულიყვნენ აღმ. სომხეთიდან ლტოლვილთა დიდ ჯგუფთან ერთად. ერთ-ერთი სომხ. წყაროს მიხედვით, დ.-ბ-მა, წარმოშობით სომეხმა, მთელი სიცოცხლე გაატარა საქართველოში, სადაც „მოიპოვა დიდება, პატივი და მხედართმთავრის სახელი".

XVIII ს. 20-იან წლებში ირან., ოსმ. და რუსეთის *პოლიტ.* ინტერესები ამიერკავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა, რის გამოც ქართლის სამეფო, როგორც ერთადერთი რეალური ძალა, დიდ *პოლიტ.* ჭიდილში აღმოჩნდა ჩათრეული და ადგილობრივი ქრისტიანი ხალხების განმათ. ბრძოლის მეთაურობაც მასვე დაეკისრა. ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლმა აღმ. სომხეთის მოსახლეობამ, რ-ის მდგომარეობა ოსმ. აგრესიამ უფრო დაამძიმა, დახმარება ქართ. სამეფო კარს სთხოვა.

1724 ბაქარმა, რ-იც იმ დროს უკვე ამიერკავკ. განმათ. ბრძოლის მეთაურად იყო აღიარებული, ღაფანში თურქთა შეტევის მოსაგერიებლად მცირე რაზმით გაგზავნა დ.-ბ., რ-ის მეთაურობით 1724–25 ღაფანელმა სომხებმა ცალკეულ ბრძოლებში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო სომეხი ხალხის განმათ. ბრძოლის შემდგომ აღმავლობას.

დ.-ბ. თურქების წინააღმდეგ ბრძოლისას დაიღუპა.

ლიტ.: მ ა ი ს უ რ ა ძ ე გ., ბაქარი და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა XVIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულს, კრ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

გ. მაისურაძე